„ახალი მსოფლმხედველობების“ ნაღმები ქართულ კულტურაში

ეძღვნება 1924 წლის აჯანყებიდან 100 წლისთავს

ბაია სიხარულიძე

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

კულტურის კვლევები/თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები

ხელმძღვანელი: ლელა იაკობაშვილი-ფირალიშვილი

2024

აბსტრაქტი

დღევანდელი გადასახედიდან, ბოლშევიკური მმართველობის პირველი წლების (1922-1927) მსოფლმხედველეობრივი დაკვეთა-ზენაშენის იდენტიფიცირება თითქოს არ უნდა ყოფილიყო რთული, მაგრამ ჯერჯერობით, უახლესი ისტორიის ანალიზი და მისი იდეოლოგიური „ნაღმებისგან" გამონთავისუფლება ისევ ჩვენი თაობის პასუხისმგებლობაა. ბოლომდე არ არის გაცნობიერებული იმ „ისტორიული ზენაშენ(ებ)ის" კვალი და შედეგები, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაეშენა ქართულ (და არამარტო), ცნობიერებას, და დღევანდელი სოციო-კულტურული ვითარება განაპირობა.

თუმცა, ის მიზნები, რასაც ბოლშევიკური „მსოფლმხედველობის ამგები მანქანა" ემსახურებოდა, დღეს ცხადია, არ გვიკვირს თუნდაც „ბოლშევიკური პერიოდის მეცნიერთა დაშინება-გადაბირების ფაქტები, და მაინც, - ნაკლებად არის გამომზეურებული ხელოვნურად შექმნილი კულტურის ასპექტები, რაც საბჭოების სასიცოცხლო ინტერესს გამოხატავდა და ფართო საზოგადოების ხალხის ცნობიერებაში „ახალ" მომავალს აგებდა.

ამ თეორიას ამყარებდა საბჭოთა ქართველ მეცნიერთა კორპუსი, რომელთა შეხედულებებს ეყრდნობოდნენ უცხოელი სწავლულები თუ ისტორიკოსები.

ქართული საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილი „ტრანსფორმირებული" იდენტობები დღესაც ზემოქმედებს, და სხვადასხვა უცხოურ თუ ქართულ თანამედროვე სამეცნიერო წრეებზე კვლავ ახდენს გავლენას. საბჭოთა პერიოდში აღიარებული სამეცნიერო კადრები, რომლებიც აპოხიერებდნენ ახალი საბჭოთა იდენტობის შესაქმნელ მანქანას, ერთად ჩარხავდნენ რა ახალი იმპერიული ფასეულობების ქვეშ დაპყრობილ ერებს, როდესაც საკუთარ თავზე იღებდნენ რა ახალი ცნობიერების დამნერგავის როლს.

გასაბჭოებიდან 100 წლისთავის მოახლოებასთან ერთად, სასურველია და უნდა გაცხადდეს კულტურულ-ისტორიული ზენაშენი, იდეოლოგიური ფსევდომეცნიერული „მიგნებები," და ჩვენი ცნობიერება, რომელიც ამ მოსაზრებებს ორგანულად მიიჩნევს, რეალური სურათის აღსაქმელად გამონთავისუფლდეს.

დღეს, საქართველოს გასაბჭოებიდან 100 წლის შემდეგ, სასურველია შეფასდეს ცნობიერების რა რისკები მოამზადა ზემოთაღწერილი იდეოლოგიზებულმა მეცნიერებამ.

საკვლევი თემა/თემის აქტუალურობა

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს თითქმის სამწლიანი თავისუფლება რომელიც ბოლშევიზმმა შთანთქა, არ აღმოჩნდა თვითგამორკვევისთვის საკმარისი. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მეორედ გაუჩნდა შანსი, რომ კოლონიალიზმის მარწუხებისაგან თავი დაეღწია. ეს ურთულესი პროცესი უზარმაზარი კატაკლიზმებით მიმდინარეობდა. ქვეყანა არ იყო მზად, რომ თვალი გაესწორებინა მიმდინარე სოციო-კულტურული და ეკონომიკური პროცესებისათვის, რომელიც მსოფლიოში ვითარდებოდა. ამიტომ, არსებულ პრობლემებთან გამკლავება საკმაოდ მძაფრად, ხშირად დრამატულად, ტრაგიკულადაც კი წარიმართა.

ქვეყნის პოსტკოლონიალური ვითარება ითხოვდა ძველი ბოლშევიკური იდეოლოგიისგან განთავისუფლებას. მაგრამ როგორც ჩანს, ბოლშევიკური იდეოლოგია იმდენად ფესვგამდგარი იყო ქართულ ცნობიერებაში, რომ მის გადასაფასებლად ბევრი რამ გახდა საჭირო. ის, რომ დღეს, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სამი ათეული წლის გასვლის შემდეგ, ჯერ კიდევ არ გვაქვს დემოკრატიულ ფასეულობებზე დამყარებული ღირებულებათა სისტემა, კვლავ მძიმედ მიმდინარე პროცესების მაჩვენებელია.

მიუხედავად ამისა, გვაქვს საკუთარი საკმაოდ სერიოზული ისტორიული გამოცდილება, და თუმცა ეს გამოცდილება მონარქიული წყობილების პირობებში შევიმუშავეთ, მაინც გაგვაჩნია იდენტობის კრიტერიუმები, რომლებიც ფსევდოპატრიოტიზმის მიღმა ინარჩუნებს საუკუნეებში გამოტარებულ ღირებულებათა სისტემას. ქართული ფსევდოპატრიოტიზმი კოლონიური ქვეყნის ძალზე ბუნებრივი გამოძახილია, როგორც ერთადერთი იდენტიფიცირების ნიშნული საკუთარ თავთან და კონსერვაციით კოლონიალურ სივრცეში გადარჩენის ერთადერთი გზა. „ნაღმები“ არის ის რისკები, რომლებიც იძულებულს ხდის კულტურას, არასწორად ტრანსფორმირდეს, კულტურის იდეოლოგიური იძულება, ისტორიული ფსევდომორფოზა.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს, თუ რა საშუალებებს მიმართა ბოლშევიკურმა მმართველობამ უცხო იდეოლოგიის ძალისმიერი გზით დამყარების პერიოდში და როგორ იქნა ამ პროცესში ჩაბმული მეცნიერება; როგორ შეეცადა ბოლშევიკური მმართველობა, საფუძველი მოემზადებინა ქართული კულტურის რუსეთის საზღვრებში ლეგიტიმაციისთვის და რა როლი ითამაშა მეცნიერებამ ბოლშევიკური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში. განხილული იქნება, ასევე, თუ რატომ დასჭირდა საბჭოთა იდეოლოგიას ქართული კულტურის მკაცრად შემოსაზღვრა ქრისტიანულ არეალში; 1920-იანი წლების ბოლშევიკური მმართველობის გავლენა ქართულ კულტურაზე, კერძოდ, ლინგვისტიკასა და დამწერლობაზე და ბოლშევიკური პერიოდის ქართველი მეცნიერების

განაცხადი ქართული დამწერლობის წარმოშობაზე. კვლევა ემყარება ჰერმენევტიკულ მეთოდს, შედარებით და ისტორიოგრაფიულ ანალიზს.

1. **„მშრომელ კაცს სამშობლო არა აქვს“** (კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“)

1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის მთავარი ამოცანა მმართველი კლასების ეკონომიკური და პოლიტიკური კონტროლისგან ძალადობრივი გზით გათავისუფლება და „მშვიდობა, მიწა და პური“-ს წილ, ცარიზმის, ეკლესიის, არისტოკრატიის განადგურება იყო.

ამ დროისთვის სხვა ვითარებაა ქართულ საზოგადოებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად, დროებითი პოლიტიკური გაერთიანება, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა (1918 აპრილი-მაისი), იშლება და არჩევნების შედეგად დანიშნული მმართველი მენშევიკური პარტია იღებს მმართველობას, რომელიც ბოლშევიკებისგან განსხვავებით, სოციალიზმის არაძალადობრივი გზით დამკვიდრებას ემხრობა.

მენშევიკური საქართველოს დამარცხების (1921) შემდეგ ბოლშევიკები ქმნიან ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკას (ასფსრ 1922–1936), რომელმაც 16 წელი იარსება. ამ პერიოდში ახალი მსოფლმხედველობა ქართულ კულტურის სხვადასხვა შრეებში ახდენდა კულტურის „იდენტობის კორექტირებას“, (დამწერლობის ჩათვლით).

ბუნებრივია, 16 წელი ახალი ფასეულობების ჩამოყალიბებისთვის ასე თუ ისე საკმარისი დროა, მითუმეტეს, რომ მთავარი მამოძრავებელი სწორედ ქართული ნაციონალიზმის (სტალინის სიტყვებით, „ნაციონალ-უკლონიზმის“) და სხვა სიტყვებით, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის განადგურება იყო.

1922 წელს, ქვეყნის მართვის საქმეში „ნაციონალ-უკლონისტებად“ წოდებულ ქართველ ბოლშევიკებს მეტი დამოუკიდებლობა სურდათ მოსკოვისაგან. ამიტომ რუსეთის და ქართველ ბოლშევიკებს შორის შეხედულებათა უთანხმოების შედეგად, იკინძება გახმაურებული „ქართული საქმე“ (Smith, 1922, გვ. 528). ამიერკავკასიის ფედერაცია სამი რესპუბლიკის ადგილზე რუსულ გუბერნიას ქმნიდა, სადაც სამუშაო ენა, რა თქმა უნდა, რუსული იყო. ამ ფაქტით რეგიონის რუსიფაკაცია შორს აღარ იყო (მაცაბერიძე, 2022, გვ. 35).

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, ამავე დროს, აკმაყოფილებდა რკპ(ბ) ცკ სამხარეო კომიტეტის ამბიციებსაც. სამი „ეროვნული“ რესპუბლიკის ნაცვლად სამართავად იღებდნენ „ადეკვატურ“ ერთეულს. ამასთან ერთად, პოლონეთის სამხედრო ატაშის კონსტანტინოპოლში 1921-1924 წლებში, პოლკოვნიკ ლეონ ბობიცკის შეფასებით, ბოლშევიკებმა მემკვიდრეობით მიიღეს მეფის რუსეთის პოლიტიკა მეზობელ სახელმწიფოებთან და მხარეებთან დამოკიდებულებაში (ბახტაძე, 2020).

რატომ გახდა საჭირო ამიერკავკასიის კულტურების ერთიანი წარმოშობის თეორიის განმტკიცება საბჭოთა ბოლშევიკური სისტემისათვის და რა დოქტრინა იქნა გამოყენებული ახალი მსოფლმხედველეობრივი „იდენტობის“ განსამტკიცებლად?

2. რატომ ერთიანი ამიერკავკასია? ახალი იდენტობის შექმნა

1922 წელს ბოლშევიკების მიზანია საქართველოს სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვა, სხვაზე დამოკიდებულ ერთეულად გადაქცევა ნებისმიერი საკითხის მიღებასა და გადაწყვეტაში.

1922 წლის 10 დეკემბერს, ბაქოში, ამიერკავკასიის საბჭოების რიგით I ყრილობა გაიმართა. ასსრფკ-ის შექმნიდან სულ რაღაც 8 თვის თავზე გადაწყდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კიდევ უფრო მეტად ინტეგრაცია, რაც 1922 წლის 10 დეკემბერს გამოიხატა „ფედერაციული კავშირის“ ნაცვლად „ფედერაციული რესპუბლიკის“ შექმნაში. ფორმალური გადაწყვეტილება თვითონ რესპუბლიკებმა მიიღეს. ამ ცვლილების თანახმად, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს - საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს - ფედერაციის შემადგენლობიდან ცალმხრივი აქტით გასვლის უფლება აღარ ჰქონდათ. ასეთ ვითარებაში საქართველოსთვის პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის დატოვება, რაც პროცედურულად ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკიდან გასვლას ნიშნავდა.

1918–1921 წლების პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, რუსეთისთვის ყველაზე საშიში საქართველო იყო –„საკმარისია საქართველოს სახელმწიფოებრივი გამოქანდაკება და ამიერკავკასიის ორი დანარჩენი ერიც თავისთავად დაკრისტალდება სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებად. მოშალეთ, ააფეთქეთ და ათქვიფეთ საქართველო, და მთელი კავკასიაც ეროვნულად აქოთებული და აჭრელებული იქნება“ (მაცაბერიძე, 1922, გვ. 34).

„ამიერკავკასიის“ გაერთიანების შემდეგ, ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი), მოთხოვნით, კულტურულ-პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის სასწრაფოდ მზადდება

მეცნიერული საფუძველი, - იქმნება სამი რესპუბლიკის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) საერთო იდენტობა.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის გერბი

მიზნის მისაღწევად სხვადასხვა დონეზე დაიგეგმა მუშაობა. გადაუდებელი საჭიროებაა საქართველოს ძლიერი, გავლენიანი, ე.ი. წამყვანი პოზიციის შესუსტება კავკასიაში. იწყება მუშაობა ისტორიის გადასაწერად, კორექტივები შედის წარსულის ქრონიკებში.

ქართული ნაციონალიზმის ამოძირკვის მიზნით იქმნება „ახალი მეხსიერება“, რათა დადასტურდეს, რომ ქართული კულტურის შექმნა თავიდანვე სხვა, „უფრო ძლიერი“ კულტურების ძალისხმევით იყო განპირობებული. მალევე სამეცნიერო ნარკვევებში ჩნდება ირიბი თუ პირდაპირი მინიშნება, რომ ქართული კულტურა, უცხო კულტურების (მაგ., ბერძნული, სომხური) ერთიანი ძალისხმევითაა შექმნილი (კეკელიძე, 1923)

კულტურულად, ენობრივად და რელიგიურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კულტურების აერთიანების ბრწყინვალე იმპერიული იდეის ავტორის ვინაობა დღეს არ არის ცნობილი, თუმცა არქივის შესწავლის შესაძლებლობა ბევრ ფაქტს გამოამზეურებს. ამიერკავკასიის სამი ქვეყნის გაერთიანებისთვის, სართულებრივად აშენებული, კარგად გათვლილი გეგმა რეგიონის ისტორიულ-კულტურული ცნობიერის საფუძველი გახდა.

ამ ინტერესის გასატარებლად შეირჩა სამეცნიერო კადრები, „მეცნიერული აგენტურა“, რომლებიც დარგების კონტროლთან ერთად ნერგავდნენ ახალ შეხედულებებს, და ქადაგებდნენ ახალშექმნილ მითებს (მაგალითად, „რუსეთი - ქართველთა განმანათლებელი“). ასეთ „შეტყობინებებს“ შორსმიმავალი მიზნები ამოძრავებდათ, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა რეჟიმისთვის ხელსაყრელი მითების დანერგვა ქართული კულტურის შესახებ). თეზისი - „კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელება ამ ერების კულტურული ცხოვრების დასაწყისია“, - იქცა მიჯნად, რომლის გადალახვა თითქმის შეუძლებელი გახდა.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის გერბის დეტალი, გერბის მარჯვენა მხარე.

ცაკ-მა ისტორიულ-კულტურული სარჩული დაუდო ამიერკავკასიის ერთიან იდენტობას: XVII-XIX საუკუნეებში არსებული ცნობა სომეხი სწავლულის მესროპ მაშტოცის მიერ სომხებისთვის, ქართველებისთვის, და ალბანელებისთვის ანბანის გამოგონების შესახებ. სომხურ მწერლობაში მაშტოცის მოღვაწეობის არეალი რომ თანდათანობით გაუზრდიათ და იგი ამიერკავკასიის ხალხთა მომაქცევლად და მათთვის დამწერლობათა შემოქმედად უქცევიათ, ეს თვალნათლივ გამოჩნდა ზაზა ალექსიძის გამოკვლევებით. მეცნიერმა ორი უმნიშვნელოვანესი სომხური წყაროს „ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის „ისტორია ქართველთა და სომეხთა განყოფისა“ (ვაღარშაპატი, 1871, სომხურ ენაზე) შესწავლისას ყურადღება გაამახვილა კორიუნის თხზულებაზე, რომელშიც მაშტოცი სამი დამწერლობის შემოქმედად წარმოგვიდგება.

1.3 „ამიერკავკასიის ფედერაცია“

ზაზა ალექსიძემ მაშტოცის შესახებ ცნობათა შემცველი სომხური წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად, ეს ცნობები გვიანდელ ინტერპოლაციად მიიჩნია. „ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის „ისტორიის“ კვლევის საფუძველზე, ზაზა ალექსიძემ დაასკვნა, რომ ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ XVII საუკუნეშიც არ ყოფილა პოპულარული (ალექსიძე 1968, 1975). აღსანიშნავია ხ. გაფრინდაშვილის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ვრცლად მოგვყავს:

„თხზულების ტექსტოლოგიურმა და წყართმცოდნეობითმა ანალიზმა აჩვენა, რომ მაშტოცის მოგზაურობის ყველაზე სრული მარშრუტი და მისი საქმიანობის ფართო მასშტაბით აღწერა კორიუნის თხზულების მხოლოდ გვიანდელმა, XVII-XIX საუკუნეების ტექსტებმა შემოგვინახა. შედარებით ადრინდელ, XIV საუკუნის ხელნაწერებში მაშტოცის მოღვაწეობის არეალი ზევრად მცირეა და მათში არაფერია ნათქვამი მაშტოცის ქართლისა და ალბანეთის მეფე-ეპისკოპოსებთან ვიზიტისა და ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ. XIV საუკუნის „ცხოვრებების“ შესწავლა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კორიუნის თხზულებაში ცნობა მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნის შესახებ გვიანდელი ინტერპოლაციაა და მაშტოცის მოღვაწეობის არეალი თანდათან გაუზრდიათ როგორც მქადაგებლობითი, ისე ანბანთშემოქმედებითი თვალსაზრისით" (გაფრინდაშვილი, 2019, გვ. 224). რაც შეეხება ს. რაპს, იგი სომხურ ტრადიციაში მაშტოცის როლის გაზრდას ქართულ-სომხურ საეკლესიო განხეთქილებას უკავშირებს. მისი აზრით, ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გვიანდელი ინტერპოლაციაა და 607 წლის შემდეგ უნდა იყოს ჩამატებული კორიუნის თხზულებაში (Rapp 2003, გვ. 450; გაფრინდაშვილი 2019, გვ. 220).

3. ენობრივი ერთობიდან ანბანურ ერთობამდე

რ. პატარიძე წიგნში „ქართული ასომთავრული“ (1980) აღნიშნავს „ქართული ანბანის ბერძულ-სომხური თეორია ჩვენში საბოლოოდ კორნელი კეკელიძემ ჩამოაყალიბა“. კორნელი კეკელიძე, - თბილისის და კიევის სემინარიის კურსდამთავრებული, შემდგომში დიაკვანი, 1916-1918 წლებში თბილისის სემინარიის რექტორი და მეფის რუსეთის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. თბილისის სემინარიაში კორნელი კეკელიძის თანაჯგუფელია იოსებ ჯუღაშვილი, რაც ასევე საყურადღებოა. მისი ნაშრომი „ქართული ლიტერატურის ისტორია“ სერგო ორჯონიკიძის მმართველობისას, 1923 წელს იბეჭდება. ნაშრომში მოცემულ შესავალში ნათქვამია რომ წიგნის სამიზნე სეგმენტი კაპიტალისტური ქვეყნების „დიდი“ ერებია. როგორც ჩანს, „წითლები“ მას განსაკუთრებულად ენდობიან, რადგან მეცნიერი

ორჯერ, 1927 და 1929 წლებში, ამიერკავკასიის ცაკ-ის წევრი ხდება, შემდეგ დელეგატი, 1927-1931 წლებში კი ქ. თბილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატია. 1926 წელს კეკელიძე ინიშნება საქართველოს სსრ განათლების კომისარიატის კოლეგიის წევრად და სატერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარედ. 1949 საქართველოს სსრ საარქივო სამმართველო მას ცენტრალური არქივის ქართული ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობის რედაქტორად ნიშნავს.

ამიერკავკასიაში ქრისტიანობის ერთი წყაროდან შემოღება ბოლშევიკური კონცეფციის ერთ-ერთი მამოძრავებელი პუნქტია. ამ კონცეფციის თანახმად, ქართული კულტურა, ფაქტობრივად, ქრისტიანობიდან იწყება. ამ მიზნისთვის საჭირო იყო არგუმენტების შეგროვება/გამოქვეყნება. 1923 წელს კორნელი კეკელიძე წერდა: „როგორც ცნობილია, ქრისტიანობა საერთაშორისო რელიგიაა, თავდაპირველად ბერძნულ-რომაულ სამყაროში აღმოცენებული და გავრცელებული, ამიტომ მისი ლიტერატურა, რომელიც თავიდანვე ბერძნულ ენაზე შეიქმნა და აღბეჭდილია მისი დოგმები, ყველა ქრისტიანი ქვეყნისათვის, ვისაც უნდოდა მართლმადიდებელ ქრისტიან ერთა ოჯახში ქონოდა ადგილი, სავალდებულოდ იყო მიჩნეული“ (კეკელიძე, 1923, გვ. 160). იგი, ასევე, აღნიშნავს: „ყოველივე ცდა, დამტკიცებულ იქნეს მწერლობის არსებობა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებამდე, უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს“ (კეკელიძე, 1923, გვ. 161). ეს ფრაზა ორიენტირებულია მომავალზე და ერთგვარად კრძალავს ყოველგვარ დაშვებას და ქართული კულტურის ისტორიას ქრისტიანობიდან იწყებს.

ქართველ მეცნიერს კორიუნის ცნობები ჭეშმარიტებად მიაჩნია და მისი აზრით, საქართველოში „მეფისა და ეკლესიის მეთაურის ინიციატივით იქმნება ანბანის შემქმნელი კომისია“, რომლის შემადგენლობაში შედის, სხვათა შორის, თურმე, სომხური და ბერძნული ენების მცოდნე ვინმე ჯაღი.

„ამ კომისიას ინსტრუქტორად სომხეთიდან მოუწვევია მაშთოცი, რომელიც მრჩეველია, და კომისიის წევრებს ბერძნული ანბანის გარდა წინ უდევთ სომხური ანბანიც საჭირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ. ამიტომ ქართულ ანბანის პროტოტიპია ბერძნული, ხოლო ზოგიერთ შემთხევაში სომხური ანბანი“ (კეკელიძე, 1923, გვ. 33).

თავისი თვალსაზრისი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ მეცნიერს გამოთქმული აქვს ორგზის: პირველად, „ძველი ქართული ლიტერატურის პირველ ტომში“, (1923 წ.), მეორედ ჟურნალ „მნათობის“ 1929 წლის მე-5/6 და მე-7 ნომრებში, წერილში „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“. ქართული ქრისტიანობამდელი კულტურის არსებობა საბჭოთა მეცნიერებისთვის დამაბრკოლებელია. „კეკელიძე საერთოდ უარყოფს წარმართული ქართული კულტურის არსებობის შესაძლებლობას“, წერს რამაზ პატარიძე (1980, გვ. 30).

4. რუსული სასულიერო განათლება და ახალი მსოფლმხედველობა

რა იყო 19-ე საუკუნის მეფის რუსეთში ქრისტიანული ეკლესიის მამოძრავებელი იდეა? ლ. მანჩესტერის თანახმად, XIX საუკუნეში ე.წ. „პოპოვიჩები", სასულიერო პირთა შვილები, რუსეთის ინტელიგენციას წარმოადგენდნენ. ქართულ კონტექსტში მათ „ტეტიათა მოტრფიალენი" ერქვათ. ისინი არ აგრძელებდნენ მშობლის საქმიანობას, - საეკლესიო მოღვაწეობას, მათი მისია უნივერსიტეტებში დამკვიდრება და სტუდენტებითვის საკუთარი მსოფლმხედველობას გაზიარება, მათი „მოწინავე იდეებით" დამოძღვრა იყო (Manchester, 1998).

განეკუთვნებოდა თუ არა კ. კეკელიძე ოჯახის წარმომავლობითა და სტატუსით „პოპოვიჩებს"? კეკელიძის მამა მართლმადიდებელი ეკლესიის დაბალი რანგის საეკლესიო პირი, - „მედავითნე" იყო, რომელიც ეხმარებოდა მღვდელს ღვთისმსახურებასა და სხვა რიტუალების შესრულებაში, წიგნების კითხვაში, თუ გალობაში. კეკელიძემ მეფის რუსეთის პირობებში დაამთავრა ჯერ თბილისის სასულიერო, შემდეგ კიევის სასულიერო სემინარიები. რა იყო ის კონცეპტები, რითიც რუსული სასულიერო სემინარია კვებავდა მომავალ სასულიერო პირებს?

„ისინი (პოპოვიჩები) იყვნენ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა შვილები, რომელთა უმეტესობა გაიზარდა რუსეთის იმპერიის უკიდეგანო სივრცეში მიმოფანტულ ღარიბ სოფლებში. „პოპოვიჩები" განსაკუთრებული მტრობით ეპყრობოდნენ რუსეთის მმართველ კლასს, - თავადაზნაურობას. რუსი სამღვდელოება კი სახელმწიფოში ყველაზე დახურული იყო, მოგვაგონებდა რა ინდოეთის ერთ-ერთ კასტას, ან ბიბლიურ ლევიანებს, რომლებსაც რუსი სასულიერო პირები ხშირად ადარებდნენ თავს XIX საუკუნეში, საერო პირებისთვის კი, სულიერი გზა პრაქტიკულად ჩაკეტილი რჩებოდა" (Manchester, 2015, გვ. 7). თავიანთ პროფესიულ და პოლიტიკურ საქმიანობაში სასულიერო პირების შვილებს შეეძლოთ დასავლური კულტურიდან ნასესხები საერო პრინციპებისა და იდეების გამოყენება, მაგრამ მათი თვითშეგნება რუსულ ეკლესიაში იყო ფესვგადგმული.

„პოპოვიჩების" უმეტესობამ ნებაყოფლობით დათმო სასულიერო წოდება. მიუბრუნდნენ რა „ამქვეყნიურ სოფელს", ისინი რუსული ინტელიგენციის ნაწილად იქცნენ. „პოპოვიჩებს" სულ უფრო და უფრო მყარი პოზიციები ეჭირათ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში (Manchester, 2015, გვ. 11). აღსანიშნავია, რომ ისინი სეკულარიზმით გამოირჩეოდნენ: ეს „ერთი მხრივ, მათ საშუალებას აძლევდა, ტრადიციული მართლმადიდებლობის წარმომადგენელებს და თანამედროვეობას შორის შუამავლის როლი ეთამაშათ, მეორე მხრივ კი მათ რუსეთსა და დასავლეთს შორის მედიატორად აქცევდა" (Manchester, 1998, გვ. 344).

რა ფასეულობები ექნებოდა რუსული სასულიერო განათლებამიღებულ წარმომადგენელ ქართული წარმოშობის მოღვაწეს? როგორც თავისი ეპოქის და რუსეთის იმპერიის სასულიერო სფეროს წარმომადგენელს, კეკელიძეს ჰქონდა სეკულარული იდეები. მის ნაშრომში „ათი სტატია პრესისათვის" ვკითხულობთ:

„1. საჭიროა ღვთისმსახურება გამარტივდეს, ცხოვრებას დაუახლოვდეს...
2. საღვთო და საეკლესიო წიგნების საბეჭდავად უნდა შემოღებულ იქმნეს მხედრული ანბანი, ვინაიდან ფართო მასისთვის ხელმისაწვდომია...
3. სურვილისამებრ ეკლესიის გარეშე საერო ტანისამოსი ატარონ ეკლესიის მსახურებმა...
4. გრძელი თმა და წვერი არ უნდა იყოს სავალდებულო" (კეკელიძე, 2019, გვ. 71-72)

ამგვარად, რუსული სასულიერო განათლება და „ახალი" (ბოლშევიკური) მსოფლმხედველობა ერთიანი იყო იმპერიული მიზნების განხორციელებაში, ხოლო კ. კეკელიძე თავისი ეპოქის შვილია, იმჟამინდელი რუსული იმპერიის სამეცნიერო საზოგადოების ტიპური წარმომადგენელი.

5. საბჭოთა კავშირის ლინგვისტური დოქტრინა 1923-1952 წლებში

ე.წ. „იაფეტური თეორია" მეცნიერებაში ცნობილია როგორც „ენის ახალი დოქტრინა" ანუ მარიზმი. მარიზმის არსებობის პერიოდში საბჭოთა კავშირის მეცნიერულ წრეებში „ძველი დოქტრინა" გახლდათ „ინდოევროპეისტიკა", იგივე „ბურჟუაზიული ენათმეცნიერება". დაახლოებით 1923-1926 წლებში, „იაფეტური თეორიის" მოდელის გამოყენებით, მარმა სცადა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის გამოყენება ლინგვისტიკაში, სადაც ამტკიცებდა, რომ ენის სხვადასხვა ფენა შეესაბამებოდა სხვადასხვა სოციალურ კლასებს.

მარი აღნიშნავდა, რომ ერთი და იგივე სოციალური კლასი განსხვავებულ ქვეყნებში, საუბრობს ერთი ფუძის მქონე ენებზე, რომლებიც ლინგვისტურად და ფონეტიკურად უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე სხვა კლასების მეტყველებასთან. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მარის შეხედულებით, ენა კლასობრივი ფენომენია.

ნიკო მარი ცდილობდა საფუძვლად მარქსის თეორია გამოეყენებინა. სოციალურ სტრუქტურაში კარლ მარქსი ორ ელემენტს - ბაზისსა და ზედნაშენს - გამოყოფდა. ყოველივე ის, რაც არამატერიალურია (მათ შორის ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება), მიეკუთვნება ზედნაშენს, ამიტომ ენაც არამატერიალურია, ე.ი. განეკუთვნება ზედნაშენს. მარქსისტული

ტერმინოლოგიით, ენა კომპონენტია, ეკონომიკური ფუძიდან ამოსული იდეოლოგიური ზედნაშენი (მარი, 2023).

ნიკო მარის თანახმად, მარქსიზმისა და იაფეტური თეორიის რიგი განცხადებების იგივეობიდან გამომდინარე, ორივე სწავლება უნდა გაერთიანდეს (Джидалаев, n.d.). მარს სწამდა, რომ ენა და მისი გრამატიკა (და არა მხოლოდ ლექსიკის მცირე ნაწილი) იცვლება ყოველ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში; ასევე, როდესაც კაცობრიობა ერთიანი ეკონომიკის მქონე კლასობრივი საზოგადოებისკენ მიიწევს, ამ პროცესის დასაჩქარებლად საჭიროა ხელოვნური ზომების მიღება, კერძოდ, აუცილებელია, ხელოვნურად შეიქმნას ერთი მსოფლიო ენა, რადგან იაფეტურ თეორიას არ შეუძლია შეხედოს კაცობრიობის მომავალ მეტყველებას სხვაგვარად, გარდა ხელოვნურად შექმნილი ენისა (მარი, 1936, გვ. 398).

1949 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სპეციალურ სხდომაზე განიხილა „სიტუაცია ლინგვისტურ ფრონტზე“ და მიიღო ნ. მარის „ახალი სწავლება“. მარის ლინგვისტური თეორია ერთადერთ მარქსისტულ თეორიად იქნა მიჩნეული (Джидалаев, n.d.). მარიზმის ბატონობა გაგრძელდა მეოთხედი საუკუნე (1925-1950 წწ.), ვიდრე სტალინის 1952 წლის განცხადებით და ა. ჩიქობავას „ენათმეცნიერების საფუძვლების“ გამოცემით ბოლო არ მოეღო.

შეიძლებოდა თუ არა კორნელი კეკელიძეს საფუძვლად გამოეყენებინა ნიკო მარის დოქტრინა თავის კვლევებში? კ. კეკელიძეს სტატიაში „ახალი სიურპრიზი“, (1915-1917) მტკიცებულებად მოყავს ნიკო მარის არგუმენტები, რომლის თანახმად აფხაზებიც ქართველთა მოდგმის, ანუ იაფეტური ხალხია („ათი სტატია პრესისთვის“, გვ. 35). ირკვევა, რომ ამ დროისთვის მარიზმი უკვე ძალაშია და მისი დოქტრინა ქართველი საბჭოთა მეცნიერების მძლავრი არგუმენტია. მარი თვლიდა, რომ სომხური და თვით რუსულიც კი, ე.წ. „იაფეტურ“ ენებს მიეკუთვნებოდა. „ზოგიერთ სტადიაზე რუსული აღმოჩნდა უფრო ახლოს ქართულ ენასთან, ვიდრე რომელიმე ინდოევროპულ ენასთან, თუნდაც სლავურთან, ან კავკასიის რომელიმე ენასთან, რომელიც ითვლებოდა ქართულთან ერთად ერთი ჯგუფის ენად, მაგალითად, მეგრული, ან ლაზური (Филин, 1937).

ამრიგად, „იაფეტური თეორია“ გახლავთ ის საბჭოთა დოქტრინა, რომელმაც „აიძულა“ საბჭოთა ქართველი მეცნიერები, საერთო ამიერკავკასიური წარმოშობის ანბანური თეორიისთვის მიეცათ გზა. მიუხედავად ამისა, რეიფილდის (Rayfield, 2015) შეხედულებით, ნიკო მარის, როგორც მეცნიერის სრული უარყოფა, გამართლებული არ იქნება. მარს აქვს მიგნებები, რომლებიც თანამედროვე ლინგვისტიკისთვისაც ღირებულია, თუმცა მისი „იაფეტური თეორია“ საბჭოთა კავშირის ინტერესებს ემსახურებოდა.

6. მოსკოვი - „მესამე რომი“, სამართლმემკვიდრის იდეა

რა კავშირია ქართული ანბანის შექმნასა და მესამე რომის იდეას შორის? ბოლშევიკური ამიერკავკასიის ანბანური „დოქტრინის“ თანახმად, ქართული ანბანი ბიზანტიის იმპერიის („მეორე რომის“) ძალისხმევის შედეგად შეიქმნა. მოსკოვის სამთავრომ ჩამოაყალიბა საკუთარი პოლიტიკურ-რელიგიური იდეოლოგია, რომელიც მიუთითებდა მის გათავისუფლებაზე უცხო მეურვეობისგან. ეს იდეოლოგია დაფუძნებული იყო მტკიცებაზე, რომ მოსკოვი იყო „მესამე რომი“ და კონსტანტინოპოლისა („მეორე რომის“) და ძველი რომის პოლიტიკური და რელიგიური პოზიციის მემკვიდრე (Toumanoff 1955, გვ. 411). პოლიტიკურ-რელიგიური პოზიციონირება კულტურულ ფასეულობებზე გადის და ამრიგად, ბოლშევიკური გეგმის პირველი ამოცანა - ამიერკავკასიაში სამივე ქვეყნის საერთო ქრისტიანულ დისკურსში ჩასმა სიძნელეს არ წარმოადგენდა. ეს იყო, ასე ვთქვათ, „ბიზანტიური სარჩული“, „მეორე რომის“ იდეა, რომლის მემკვიდრესაც თავს რუსეთი აცხადებდა.

მეორე ეტაპზე აუცილებელი იყო ქრისტიანობის და კულტურის ცნებების გაიგივება. ამისთვის განათლება-მწიგნობრობა, რომელიც ანბანზე იყო დამოკიდებული, ასევე, ერთი წყაროდან უნდა ყოფილიყო მიღებული. ასეთი წყარო რუსეთში მოღვაწე ბოლშევიკებისთვის ბიზანტია-სომხეთია, საიდანაც კავკასიაში შემოდის ქრისტიანობა, რომელიც მოაქვთ სომხეთის გამაქრისტიანებელთ, - ბერძენ ქალბატონებს, - წმინდა რიფსიმეს, წმინდა გაიანეს და მათ დობილ წმინდა ნინოს. ბოლშევიკურ კონცეფციაში საქართველოს განმანათლებლის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ამაგი უკანა პლანზე გადადის, ხოლო ისლამური ქვეყნების იდენტობა კავკასიიდან ქრება.

დასკვნა

ბოლშევიკურ ანექსიას მოჰყვა იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომლის ერთ-ერთი ინსტრუმენტი გახდა მეცნიერება და მეცნიერული ნაშრომები. სავარაუდოა, რომ რიგი ქართველი საბჭოთა მეცნიერები ჩართული იყვნენ ბოლშევიკური რუსეთისთვის კოლონიური იდეოლოგიის ლეგიტიმაციის პროცესში. ლეგიტიმაცია ხდებოდა როგორც ისტორიულ-კულტურულ ნიადაგზე, ასევე, უფრო მასშტაბურად - ამზადებდნენ ახალ ისტორიულ ნარატივს საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად.

წინამდებარე კვლევაში გამოკვეთილი ტენდენციები აჩვენებს, თუ რა განზრახვები ჰქონდათ ქართული კულტურის მიმართ საბჭოთა მესვეურებს, როგორ ათანაბრებდნენ და ერთ თარგზე „კერავდნენ“ ისინი სრულიად განსხვავებულ კულტურებს. ბოლშევიკური ამიერკავკასიის პოლიტიკურ-კულტურული დოქტრინა ეფუძნებოდა შემდეგ იდეას, - „ერთი რესპუბლიკა, - სამი კულტურა საერთო ძირის მქონე სამი ანბანით. IV საუკუნე, - ქრისტიანობის მიღების ხანა, - ქართული კულტურის ისტორიის საწყისად დგინდება, კულტურის შექმნის საწყის ზღვარად და მისი „გადალახვა“ დღესაც კი, 21-ე საუკუნეში, საზოგადოებაში „ცოდვად“ აღიქმება. „წარმართული ქართული კულტურა“ არ არის საკმარისად გამოკვლეული.

ნიკო მარის „იაფეტური თეორია“, როგორც საერთო ლინგვისტური წარმოშობის თეორია, ამაგრებს რუსული ბოლშევიკური იმპერიისა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ-კულტურული დოქტრინას, ხაზს უსვამს რა მათ ლინგვისტურ ერთობას, „ძმობას“. ლინგვისტურ თეორიას ეფუძნება ამიერკავკასიის ხალხთა საერთო ანბანური წარმოშობის თეორია. ბოლშევიკური დოქტრინის გამო ქართული ანბანის წარმოშობის მიმართულებით იზღუდებოდა სამეცნიერო კვლევები. 1980 წელს საბჭოთა ცენზურამ რ. პატარიძის „ქართული ასომთავრული“ გაყიდვებიდან ამოიღო, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი არჩილ სულაკაური თანამდებობიდან გადააყენეს, ხოლო რ. პატარიძე მეცნიერულ საქმიანობას პრაქტიკულად ჩამოაშორეს. ამ შეზღუდვის შედეგად ქართული ანბანის წარმოშობაზე დისკუსია დღეს რადიკალურად განსხვავებულ თვალსაზრისებს შორისაა მოქცეული. ასევე იბლოკებოდა კულტურის ისტორიის სხვა მიმართულების კვლევები (მაგალითად, ს. მაკალათიას 1938 წლის ნაშრომი „ჯეგე-მისარიონის კულტი ძველ საქართველოში“).

ბოლშევიკური ძალისხმევის შედეგად „დადგინდა“, რომ ქართული კულტურის „გასაღები“ „მესამე რომში“, მოსკოვში ძევს. ამ მიდგომის თანახმად, ქართული ანბანის შემქნელი ბიზანტიური იმპერია („მეორე რომი“), სომხური ქრისტიანული სახელმწიფოს დახმარებით ქმნის ქრისტიანულ ქართულ ანბანს (ასომთავრულს) და საფუძველს უდებს ქართული კულტურის არსებობას. მოსკოვი ბიზანტიის მემკვიდრეა და უფლებამოსილია, კვლავაც კორექტივები შეიტანოს მისი წინამორბედის მიერ ინიცირებულ (ქართულ) კულტურაში. დღესაც კი საგრძნობი ძალისხმევაა საჭირო ფესვგადგმული ბოლშევიკური დოქტრინის შესაცვლელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალექსიძე, ზ. (1968). *ეპისტოლეთა წიგნი*. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. „მეცნიერება".

ალექსიძე, ზ. (1975). *უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან.* სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. „მეცნიერება".

ბახტაძე, მ., ლიბერა, პ. (2020). პოლონეთის ახალი ისტორიის არქივის Archiwum Akt Nowych რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს შესახებ", *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები* (16), გვ. 70-87.

გაფრინდაშვილი, ხ. (2019). *კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება": ტექსტის თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები).* სადისერტაციო ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კეკელიძე, კ. (1929). ქართული კულტურის ორი დღესასწაული, *მნათობი*, 5-6-7.

კეკელიძე, კ. (1980). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. 1. „მეცნიერება".

კეკელიძე, კ. (2019). *ათი სტატია პრესისთვის.* შეადგინა, ბიბლიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთო დ. მენაბდემ. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ლორთქიფანიძე, გ. (1995). *ფიქრები საქართველოზე.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მაკალათია, ს. (1938). *ჯეგე-მისარიონის კულტი ძველ საქართველოში.* საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება.

მაცაბერიძე, მ. (2022). როგორ შეიქმნა საბჭოთა კავშირი, *ჩემი სამყარო*, N 35, გვ. 44-55.

პატარიძე, რ. (1980). *ქართული ასომთავრული.* „ნაკადული".

Doborjginidze, N. (2019). Medieval Georgian Projection of Religious Historiography of Late Antiquity: Mapping of Biblical peoples (Tabula linguarum et populorum). *Scrinium*, 15(1), 239–255. https://doi.org/10.1163/18177565-00151P16

Manchester, L. (2008). *Holy Fathers, Secular Sons Clergy, Intelligentsia, and the Modern Self in Revolutionary Russia*. Northern Illinois University Press.

Manchester, L. (1998). The Secularization of the Search for Salvation: The Self-Fashioning of Orthodox Clergymen's Sons in Late Imperial Russia. *Slavic Review*, 57(1), 50–76. https://doi.org/10.2307/2502052

Marx, K., Engels, F. (1969). *Selected Works*, „Manifesto of the Comunist Party“, vol. 1, Progress Publishers, pp. 98-137.

Rayfield, D. (2015). Nikolai Marr – a talk by Donald Rayfield, British Georgian Society, https://www.britishgeorgiansociety.org/nokolai-marr-a-talk-by-donald-rayfield-17-february/

Rubenstein, H. (1951). The Recent Conflict in Soviet Linguistics. *Language*, 27(3), 281–287. https://doi.org/10.2307/409756

Smith, J. (1998). The Georgian affair of 1922—Policy failure, personality clash or power struggle? *Europe-Asia Studies*: Vol. 50, No. 3, pp. 519-544.

Toumanoff, C. Moscow the Third Rome: Genesis and Significance of a Politico-Religious Idea. *The Catholic Historical Review*, (1955), Vol. 40, No. 4, pp. 411-447, https://www.jstor.org/stable/25015803

Джидалаев, Н. (n.d.). «Как это было на самом деле», საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, http://www.nplg.gov.ge/caucasia/Caucasology/RUS/2004/No5/Summary/29.htm

Марр, Н. (1936). Основные вопросы языкознания, *Избранные работы в 5 томах*, Т. 2. Государственное социально-экономическое издательство.

Филин, Ф. (1937). Н. Я. Марр и изучение русского языка, Centre de recherches en épistémologie comparée de la linguistique d'Europe centrale et orientale. https://crecleco.seriot.ch/textes/Filin37.html